



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საპროექტო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 2 14

27/02/2020

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში 2020 წ. საქართველოს რეგიონებში მთის ფონდის მიერ დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილებისა და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის #249 დადგენილების საფუძველზე:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებისა და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის #249 დადგენილების ფარგლებში, 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტი განისაზღვროს შემდეგი სახით:

N	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირ-ბა (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ. მიმდინარე წელს რეგ.ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ლარში	მ.შ თანადაფინანსება	საპროექტო განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	სოფ.ვარევანის სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა	688,250	500,000	188,250	აპრილი - ივლისი	12.5 კმ
	ჯამი	688,250	500,000	188,250		

2. ნება დაერთოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტს მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) 2020 წლის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები;

ბ) პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაში.

ნაირი ირიციან



საკრებულოს თავმჯდომარე

